

პენმარათონი 2018  
მოთხრობების კრებული

PENMARATHON 2018  
Erzählband

პენმარათონი 2018

მოთხრობების კრებული

მთარგმნელები: მაია ბადრიძე, რახელ გრატცფელდი

კრებული გამოიცა საქართველოს განათლების, მეცნიერების,  
კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით.

© ავტორები, გამომცემლობა „დიოგენე“, 2018

ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-11-617-9

[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)

PenMarathon 2018

Erzählband

Übersetzerinnen: Maja Badridse, Rachel Gratzfeld

Der Erzählband wurde mit Unterstützung des Ministeriums für Bildung,  
Wissenschaft, Kultur und Sport herausgegeben.

© Autoren, Verlag “Diogene”

Alle Rechte vorbehalten

ISBN 978-9941-11-617-9

[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)





# წინასიტყვაობა

თქვენ წინაშეა კრებული, რომელიც 2018 წლის ივნისში საერთაშორისო, ქართულ-გერმანული ლიტერატურული კონკურსის „პენმარათონის“ ფარგლებში დაწერილი 10 საუკეთესო მოთხრობისგან შედგება. ეს კრებული, ისევე როგორც თავად კონკურსი, 2018 წელს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველოს საპატიო სტუმარი ქვეყნის სტატუსს ეძღვნება.

პენმარათონი ორიგინალური ფორმატის ლიტერატურული კონკურსია, რომელიც საქართველოში უკვე შვიდჯერ ჩატარა გამომცემლობა „დიოგენემ“ (პირველი – 2002 წელს). კონკურსი 2 ეტაპად იმართება: მონაწილეების შერჩევა და წერიტი სესია – პენმარათონი. წერიტი სესიის დროს, 24 საათის განმავლობაში, მონაწილეებმა ყიუზის მიერ განსაზღვრული ამოცანის შესაბამისად უნდა შექმნან მხატვრული პროზის ორიგინალური ნიმუში.

წელს პენმარათონი საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში – კახეთში, სასტუმრო კომპლექს „მაროშენში“ ჩატარდა. კონკურსში მონაწილეობდნენ: სარა ბერგერი, ტილო დირკესი, სიმონა ჰარმანიეკე, ლასე კოლმაიერი, სოფი ლიხტენშტაინი, მარტინ შპისი, დანიელ შტერი, სოფია სუმბურანე, იანა ფოლკმანი, მინდია არაბული, ინა არჩუაშვილი, დავით ბადალაშვილი, შალვა ბაკურაძე, სოფო ბანძელაძე, ნინო გუ-

გეშაშვილი, თეა თოფურია, ირმა მალაცაძე, ელენე რევიშვილი, ბესო სოლომანაშვილი, თამარი ფხაკაძე, ლევან შატბერაშვილი, ალექო შულაძე, ბესო ხვედელიძე.

წერიტი სესიის დაწყებამდე გაიმართა ლიტერატურული წერის საკითხებისადმი მიძღვნილი ვორქშოფი, რომელსაც ქრისტიანე შმიდტი უძღვებოდა.

2018 წლის პენმართონის საკონკურსო დავალება იყო ფრაზა უილიამ შექსპირის „ჰამლეტიდან“, რომელიც მონაწილეებს ნაწარმოების ეპიგრაფად უნდა გამოეყენებინათ: „სიცრუის ჩანგლით შენ დაიჭერ სიმართლის თევზსა...“

დღეს, როცა ამ კრებულის წინასიტყვაობა იწერება, კონკურსის შედეგები ჯერ კიდევ არ არის ცნობილი – გამარჯვებულთა დაჯილდოება 2018 წლის 11 ოქტომბერს გაიმართება ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე, საპატიო სტუმარი ქვეყნის პავილიონში.

ჩვენ, როგორც კონკურსის ორგანიზატორები, გულითად მადლობას ვუხდით ყველა მონაწილეს, აგრეთვე, პროექტის მხარდამჭერებს. ესენია: გერმანული მხრიდან – ფრანკფურტის მედიაკამპუსი და Mojoreads.com, ქართული მხრიდან: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი, სასტუმრო კომპლექსი „მაროშენი“, საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი, საზღვაო-სატრანსპორტო კომპანია MSC, ტელეკომპანია „იმედი“, რადიო „ფორტუნა“, „ნეტგაზეთი“, გამომცემლობები: „სიესტა“ და „შემოქმედი ანგელოზი“.

*ჯარჯი აქიმიძე, ჯემალ ინაიშვილი, თამარ ლებანიძე*  
თბილისი, 2018 წლის 25 სექტემბერი

ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობის ერთ-ერთი მიზანი საპატიო სტუმრის სტატუსით მოწვეული უცხო ქვეყნის კულტურისა და მისი ლიტერატურის გაცნობაა. ეს გამოცდილება ჩვენ გაცილებით ადრე შევიძინეთ, როცა შეკითხვით მოგვმართეს, გვსურდა თუ არა მონაწილეობა საქართველოში უკვე ტრადიციად ქცეულ, ან კი პირველ საერთაშორისო კონკურს „პენმარათონში“. პენმარათონი ცნობილი ქართული გამომცემლობისა და მისი პარტნიორების ერთობლივი პროექტია, რომლის მიზანიც ქართული ლიტერატურული ლანდშაფტის გაფართოება და ავტორების ყურადღების ცენტრში მოქცევაა.

რატომაც არ უნდა გაიცნოს ორმა ქვეყანამ, მათმა კულტურამ ერთმანეთი ლიტერატურის მეშვეობით? რატომ არ უნდა მიეცეს საშუალება დამწყებ და ცნობილ ავტორებს, შეხვდნენ, გამოცდილება გაუზიარონ ერთმანეთს, რაღაც საერთო შექმნან და ერთმანეთის ენებზე ითარგმნონ?

...და დაიბადა პირველი ქართულ-გერმანული პენმარათონის იდეა.

ფრანკფურტის მედიაკამპუსი, როგორც განათლებისა და კვალიფიკაციის ამალგამის ინსტიტუტი, თავისი პროგრამებით სწორედ პროფესიული გამოცდილების გაზიარებას უწყობს ხელს არა მარტო

გერმანიაში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. ამიტომაც სიამოვნებით მივიღეთ ეს შემოთავაზება.

პენმარათონის პირველი საერთაშორისო პროექტის განსაკუთრებულობა ის იყო, რომ ლიტერატურული მუშაობის პროცესი, რომელიც, ჩვეულებრივ, ინდივიდუალურად ხორციელდება და არა კოლექტიურად, საერთო გამოცდილებად იქცა. კონკურსის ფორმატის მიუხედავად, ამ პროცესში მთავარი მაინც ურთიერთმხარდაჭერა და კულტურათა ურთიერთგაცნობა გახლდათ.

ამ იდეამ დაგვანახვა, რომ ამბების მოყოლის გზით ერთმანეთთან შეხვედრა, საკუთარი სიტყვების სხვა ენაზე მოსმენა უკვე კარგად ცნობილს, ჩვეულებრივსა და იმას, რისაც ასე გჯერა, ახლებურად აღმოგაჩენინებს. სხვა კულტურა ახალი პერსპექტივების დასანახავად აგიხელს თვალს და იმასაც გიჩვენებს, რაც საერთო გვაქვს, რადგან ის, რაც გვაერთიანებს, სწორედ ამბების მოყოლაა.

ამ არაჩვეულებრივ ანთოლოგიაში შეგვიძლია ნავიკითხოთ ავტორების მონაცემი – ჩავუღრმავდეთ განსხვავებულ კულტურებს და ეს ორი ქვეყანა უკეთ გავიცნოთ.

მადლობა ყველა მონაწილეს, მწერლებს, იდეის ავტორებსა და პარტნიორებს, რომლებმაც პირველი ქართულ-გერმანული პენმარათონი დაუწინყარ გამოცდილებად აქციეს. გულწრფელად ვულოცავთ გამარჯვებულებს.

*იუდიტ ჰოფმანი*  
ფრანკფურტის მედიაკამპუსის  
კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების  
და პროექტების ხელმძღვანელი



# VORWORT

Die vorliegende Anthologie versammelt die zehn besten Geschichten aus dem georgisch-deutschen Literaturwettbewerb PenMarathon, der im Juni 2018 in Georgien stattfand. Die Sammlung wie auch der diesjährige Wettbewerb selbst sind dem Gastlandauftritt Georgiens an der Frankfurter Buchmesse 2018 zugeordnet.

Veranstaltet wird der PenMarathon seit jeher vom Verlag "Diogene", der den Literaturwettbewerb in seinem eigentlichen, einsprachig georgischen Format bereits sieben Mal durchgeführt hat, zum ersten Mal 2002. Der Wettbewerb findet in zwei Etappen statt: einer Vorauswahl der Kandidaten und einer Schreib-Session, dem PenMarathon. Die Kandidaten verfassen während der 24-stündigen Schreib-Session und unter Berücksichtigung einer von der Jury vorgegebenen Aufgabenstellung einen originalen Prosatext.

Der diesjährige, zweisprachige PenMarathon fand in Kachetien, Ostgeorgien, im Gästehaus "Maroscheni" statt. Teilnehmerinnen und Teilnehmer waren: Daniel Stähr, Sofie Lichtenstein, Sarah Berger, Simona Harmeinecke, Thilo Dierkes, Martin Spieß, Lasse Kohlmeyer, Sophia Sumburane, Jana Volkmann, Mindia Arabuli, Ina Artschuaschwili, Dawit Badalashwili, Schalwa Bakuradse, Sopo Bandtseladse, Nino Gugesch-

schwili, Tea Topuria, Irma Malazidse, Elene Rewischwili, Beso Solomanaschwili, Tamri Pchakadse, Lewan Schatberaschwili, Aleko Schughladse, Beso Chwedelidse.

Vor der Schreib-Session betreute die Lektorin Christiane Schmidt einen Workshop, der sich mit Fragen literarischen Schreibens befasste.

Die Aufgabenstellung am PenMarathon 2018 bestand aus einem Zitat aus William Shakespeares "Hamlet", den die Kandidaten in ihrem Text als Epigراف verwenden sollten: "Der Lüge Köder fängt den Karpfen Wahrheit."

Zur Zeit der Niederschrift dieses Vorworts ist das Wettbewerbsergebnis noch nicht bekannt; die Preisverleihung findet am 11. Oktober 2018 an der Frankfurter Buchmesse im Gastland-Pavillon statt.

Wir als Organisatoren dieses Wettbewerbs sprechen allen Teilnehmenden unseren herzlichsten Dank aus, ebenso allen, die das Projekt unterstützt haben - von deutscher Seiten sind das: der Mediacampus Frankfurt sowie mojoreads.com, von georgischer Seite: das Ministerium Georgiens für Bildung, Wissenschaft, Kultur und Sport, Georgisches Nationalbuchzentrum, das Gästehaus "Maroscheni", die Georgische Versicherungsgesellschaft, die Übersettransportgesellschaft MSC, die Telefongesellschaft "Imedi", Radio "Fortuna", "Netgaseti"; die Verlage "Siesta" und "Schemokmedi angelosi".

*Dschardschi Akimidse, Dschemal Inaischwili, Tamar Lebanidse*

Tbilissi, 25. September 2018

Ein fremdes Land durch seine Kultur, seine Literatur erfahrbar zu machen, das ist Teil des jährlichen Gastland-Auftritts auf der Frankfurter Buchmesse. Für uns hat diese wunderbare Erfahrung schon viel früher begonnen: Als die Frage an uns herangetragen wurde, ob wir den ersten internationalen Wettbewerb des in Georgien etablierten PenMarathon unterstützen wollen. PenMarathon, ein gemeinschaftliches Projekt von namenhaften georgischen Verlagen und Projektpartnern, das zum Ziel hat, die Literaturlandschaft zu stärken und ihre Autorinnen und Autoren in den Fokus der Aufmerksamkeit zu rücken.

Warum also nicht zwei Länder, zwei Kulturen durch ihre Literatur und Literaturschaffenden erlebbar machen? Jungen wie etablierten Autorinnen und Autoren die Möglichkeit geben, zusammenzukommen, sich über das schriftstellerische Arbeiten zu begegnen und auszutauschen, etwas Gemeinsames zu schaffen und in die jeweils andere Sprache übersetzt zu werden?

Die Idee zum ersten georgisch-deutschen PenMarathon war geboren.

Als Aus- und Weiterbildungsinstitution der deutschen Buchbranche stärkt der mediacampus frankfurt mit seinen Programmen den professionellen Austausch – immer wieder auch über die Landesgrenzen hinweg – und genau deshalb haben wir das Projekt sehr gerne unterstützt.

Das Besondere an dieser ersten internationalen Ausgabe des PenMarathon war, dass der Schaffensprozess des eher einsamen schriftstellerischen Arbeitens zu einer gemeinsamen Erfahrung wurde, in deren Verlauf das sich gegenseitig Unterstützen trotz der Wettbewerbssituation im Vordergrund stand, das kulturelle Miteinander gestärkt wurde.

Der gemeinsame Austausch hat gezeigt, sich über das Geschichtenerzählen zu begegnen und die eignen Worte in einer anderen Sprache zu hören, lohnt, um ganz neu auf längst Bekanntes und selbstverständlich Geglauhtes zu schauen, Neues zu entdecken und sich durch eine andere Kultur die Augen öffnen zu lassen. Und dabei auch Gemeinsamkeiten zu entdecken – denn was uns alle eint, ist, Geschichten zu erzählen.

Und was uns diese Autorinnen und Autoren zu erzählen haben, dass dürfen wir in dieser wunderbaren Anthologie lesen – eintauchen in unterschiedliche Welten und dabei den beiden Ländern näherkommen.

Danke allen Beteiligten, den Autorinnen und Autoren, Ideengebern, Organisatoren und Partnern, die den ersten georgisch-deutschen PenMarathon zu einer unvergesslichen Erfahrung gemacht haben. Herzlichen Glückwunsch den Gewinnerinnen und Gewinnern.

*Judith Hoffmann*

Leitung Weiterbildung und Projekte  
Mediacampus Frankfurt



# სარჩევი

|   |    |
|---|----|
| თავგვები და ტოროლები.....               | 17 |
| <i>მინდია არაბული</i>                   |    |
| ბანერის ომი .....                       | 24 |
| <i>ნინო გუგუშაშვილი</i>                 |    |
| ჭირი .....                              | 34 |
| <i>თეა თოფურია</i>                      |    |
| „აფრინდა, აფრინდა, იხვი აფრინდა!“ ..... | 41 |
| <i>ირმა მალაციძე</i>                    |    |
| შიში ტყეში .....                        | 54 |
| <i>ალეკო მულაძე</i>                     |    |
| ჰაიდუგერის ქობი .....                   | 64 |
| <i>სარა ბერგერი</i>                     |    |
| მარადმწვანე ცა .....                    | 69 |
| <i>ტილო დირკესი</i>                     |    |
| სიმონა ჰარმანიეკე.....                  | 73 |
| <i>სიმონა ჰარმანიეკე</i>                |    |
| ორნი.....                               | 76 |
| <i>ლასე კოლმაიერი</i>                   |    |
| აუზის კიდე.....                         | 87 |
| <i>იანა ფოლკმანი</i>                    |    |

# INHALTSVERZEICHNIS

|  |     |
|--|-----|
| Mäuse und Lerchen.....                               | 93  |
| <i>Mindia Arabuli</i>                                |     |
| Krieg der Banner .....                               | 100 |
| <i>Nino Gugeschaschwili</i>                          |     |
| Die Seuche.....                                      | 110 |
| <i>Tea Topuria</i>                                   |     |
| Fortgeflogen, fortgeflogen ist die Ente, fort!!..... | 118 |
| <i>Irma Malazidse</i>                                |     |
| Angst im Wald .....                                  | 132 |
| <i>Aleko Schughladse</i>                             |     |
| Heideggerhütten .....                                | 143 |
| <i>Sarah Berger</i>                                  |     |
| Immergrüne Himmel.....                               | 148 |
| <i>Thilo Dierkes</i>                                 |     |
| Körpertechnik .....                                  | 152 |
| <i>Simona Harmeinecke</i>                            |     |
| Zwei .....   | 155 |
| <i>Lasse Kohlmeyer</i>                               |     |
| Beckenrand.....                                      | 166 |
| <i>Jana Volkmann</i>                                 |     |





# მინდია კრაპული

## თავგები და ტოროლები

– ღმერთო, შენ გვიშველე, – ჩაიჩურჩულა მორჩილმა იოაკიმემ და ნელა მიუახლოვდა იმას, რაც შორიდან გამორიყული მორი ეგონა. სხეული ნახევრად მდინარეში იყო მოქცეული, ოდნავ ძლიერი ნაკადი ისევ გაიტაცებდა. ცოტა ხანს ყოყმანობდა იოაკიმე და ირგვლივ იყურებოდა დახმარების გამოჩენის მოლოდინში, მაგრამ საბოლოოდ მაინც შეახო ხელი. – ღმერთო, დაგვიფარე! – წამოიძახა მორჩილმა, როცა სხეული გატოკდა.

ბერმა თეოფილემ საკუთარი საყუდებელი დაუთმო, თვითონ კი სანყობ-ში გადაბარგდა. საღამომდე ლოცულობდნენ თეოფილე და იოაკიმე კაცის ჯანმრთელობისთვის. ერთი სული ჰქონდა მორჩილს, როდის მოვიდოდა სტუმარი გონს, რამეთუ ღვთის ქმნილებანი ასე არ უნდა ილუპებოდნენ, მაგრამ, სიმართლე რომ ითქვას, უფრო მეტად რამეთუ კაცს მარჯვენა ხელის სამი თითი – ცერა, საჩვენებელი და შუა – ხისა ჰქონდა და იოაკიმესაც სიკვდილამდე აინტერესებდა მიზეზი.

სანამ უგონოდ იყო, რომელიღაც გაურკვეველ ენაზე ბოდავდა, მაგრამ როცა საღამოს თვალი გაახილა, წყალი ბერძნულად მოითხოვა.

პეტრე ერქვა, მაგრამ თავის სახელს უცნაურად აწლერებდა, არაჩვენებურად. აქაურობასთან ახლოს ყაჩაღები დაესხნენ თავს. წაართვეს ცხენი, იარაღი და მდინარეში მოისროლეს, საიდანაც მორჩილმა იოაკიმემ ამოიყვანა, განკურნოს ღმერთმა მისი სუნთქვაშეხუთულობა. ხის თითებს რაც ეხება, ძველი ამბავია ეგ. ადრე თათარი იყო, ოღონდაც აქაური არა.

ერთ კაცთან მოხვდა ბულგარეთში. ჩვიდმეტიოდე წლისა იქნებოდა იმ დროს. ბოსელში იყო გამოკეტილი თურქ ტყვეებთან ერთად. ეს თავად თურქი არ ყოფილა, მაგრამ იმ კაცს დიდად არ აწუხებდა. ოთხი ყბამსხვილი ძაღლი ჰყავდა. პირველ კვირას ერთი თურქი შეჭამეს. შემოვიდა ეს კაცი ბოსელში, წამოაყენა თურქი და გაიყვანა. ის კიდევ იხედებოდა აქეთ-იქით, ვერ ხვდებოდა ვერაფერს. მერე ფიცრების ჭუჭრუტანებიდან ხედავს პეტრე – ლამის მეგობრულად უხსნის ის კაცი საძაღლის კარს და აჩვენებს, შედიო. შედის თურქი და ძაღლებიც ჭამენ. ორი დღის მერე მეორის ჯერი დადგა. ის კი ტიროდა, იწიხლებოდა, იკბინებოდა. ეს კაცი რომ ვერაფერს გახდა, ჯანდაბას შენი თავიო და აქეთ გამოუშვა ძაღლები ეზოში – ირბინეს ცოტა ხანს წრეზე, მერე დაენივნენ და შეჭამეს.

პეტრე შემდეგი იყო. ოღონდ მაშინ პეტრე არ ერქვა, თათარი იყო – აკი თქვა. წინა ღამით სიზმარში ხედავს – იღება ბოსლის კარი და შემოდის ქრისტე-ღმერთი. ათვალეერებს იქაურობას, არც არაფერი შეცვლილაო – ამბობს. მერე კუთხეში შეკუნტულ პეტრესთან მიდის და ეუბნება რალაცას. აღარ ახსოვს ახლა, რას, მაგრამ მაგის მერე აღარ ეშინია. დილით ის კაცი მოდის, ჰა, თავად წამოხვალ თუ შენც უნდა მეჭიდაოო. დგება პეტრე და უშიშრად შედის საძაღლეში, როგორც დანიელი. უყურებენ ძაღლები, ატრიალებენ გაკვირვებულ თავებს აქეთ-იქით. პეტრე დანიელზე მეტად თამამდება და ერთ ქოვაკს დრუნჩზე უთათუნებს ხელს. ორი წამი და სამი თითი აღარ აქვს. ეზოში გამორბის პეტრე, იკრუნჩხება, მიწაზე იწყებს გორაობას. ის კაცი

კი იცინის, ხარხარებს, სადაცაა თვითონაც გაგორდება. მერე კი ბოსლის სახურავს ჭურვი ხვდება. სოფელში თურქები არიან. კიდევ ორი წამი და თითებმოჭმული პეტრე ტყვიებსა და ცხენებს შორის ცდილობს გზის გაგნებას.

– მერე კი საბერძნეთში გავაღწიე და მოვინათლე, – ასრულებს ამბავს. იოაკიმე ხმას ვერ იღებს, ბერი თეოფილე კი ჩუმად აქნევს თავს.

– ეს ხელი კი ნათლობის მერე დავამზადებინე, – ამბობს პეტრე და ატრიალებს საჩვენებლად.

სამი თითი თითქოს პირჯვრის გადასაწერადაა შეკრული, მაგრამ ბოლომდე მანაც არა.

– პირჯვარსაც რომ ვინერდე და ლუკმასაც ვიღებდე.

თეოფილე მარცხენა ხელზე უყურებს.

– ამით ვერ ვჭამ, – იცინის პეტრე. – რწმენა შევიცვალე, რჯული კი არა.

დროდადრო ხის თითებს გარეცხვა სჭირდებოდა. პეტრე უშვებდა პატარ-პატარა ქამრებს, იხსნიდა ხელიდან და თეოფილეს ატანდა. იოაკიმეს აქამდე არ ენახა მოჭრილი ხელი და როცა სენაკის კუთხეებში თავგების სანამლავს ალაგებდა, პეტრესკენ აპარებდა თვალს.

– ტყუილად ხარჯავ ასე, – წამოიძახა პეტრემ. იოაკიმეს ეგონა, რომ ავადმყოფს ეძინა, ცოტათი შეკრთა.

– ხომ გესმის ბერძნული? წესით, უკვე უნდა გესმოდეს.

იოაკიმემ თავი დააქნია.

– არ შეჭამენ მაგას თავგები. საკმევლით გაქვთ თაროები სავსე, რატომ უნდა დააკარონ პირი რალაც გამხმარ პურს?

– მესმის, – თქვა იოაკიმემ, მაგრამ, რა წამს მიხვდა, რომ სიტყვა შეეშალა, გაჩუმდა და თავი დააქნია.

– სატყუარაა საჭირო, მაგას ვამბობ. მარტო თავგი რომ შეჭამს, ისეთი. თორემ მერე აგე თუ ტოროლა დალუპე, რად გინდა ზედმეტი ცოდვა.

თქვა პეტრემ და სარკმელზე ანიშნა, მაგრამ როცა იოაკიმემ მოიხედა, ჩიტი უკვე გაფრენილი იყო.

– იცი, ერთი რამ გამოვტოვე იმ ამბავში, – თქვა პეტრემ მცირე სიჩუმის შემდეგ.

– მაშინ, თურქებთან ერთად რომ ამიყვანეს, მარტო არ ვყოფილვარ.

იოაკიმემ თავის სანამლავიანი ჯამი ძირს დადო, ხელები სველი ტილოთი გაიწმინდა და სანოლს მიუახლოვდა.

– ჩემი ძმაც ჩემთან ერთად იყო. შენხელა იქნებოდა.

იოაკიმემ იგრძო, საითკენაც მიდიოდა ამბავი და სველ ტილოს გაუაზრებლად მოუჭირა ხელები.

– სულ პირველი, ვინც ძაღლებმა დაგლიჯეს, აი, ის, ვერაფერს რომ ვერ ხვდებოდა... ჩემი ძმა იყო. არც ეგრე მალე მომკვდარა. ის კაცი კარგად უვლიდა თავის ძაღლებს, უკვე დანაყრებულები იყვნენ. ათრიეს, დაკბინეს, მოაჭამეს ასოები აქა-იქ და დატოვეს ეგრე. რაც მთავარია კი, ყელი გამოუხიეს და ველარც იყვირა. შეიძლება, მაშინვე დალია სული, შეიძლება, უფრო გვიან. დილით კი ბოლომდე შეჭამეს – ეგ ვიცი.

იატაკზე წყლის სხმის ხმა გაისმა. პეტრემ წამოყო თავი და დაიხედა. მორჩილი ორივე ხელით უჭერდა სველ ტილოს.

– კარგი ახლა, ჩასაფსმელადაც არ მითქვამს, – დაიწყო სიცილი.

იოაკიმემ გამოფხიზლდა, დაიხედა დაბლა და შეკრთა.

– არა, არა! – გაუწითლდა სახე, მაგრამ დაბნეულობამ ყველა თავის გასამართლებელი სიტყვა მეხსიერებიდან ამოუგდო. დაეცა დაბლა და მოწმენდა დაიწყო.

პეტრე მორჩა სიცილს და ისევ მიმართა:

– მისმინე, მისმინე, მთავარი არ მითქვამს. დაანებე მაგას თავი.

იოაკიმემ ამოიხედა.

– მთავარი არ მითქვამს. ის კაცი... ძაღლების პატრონი გადარჩა, არ მოუკლავთ თურქებს. გესმის?

მორჩილმა თავი დააქნია.

– იცი, რამდენი წელი ვეძებე? მომხედე. იცი, რამდენი? ახლა ვისაც ხედავ, ეგ კაცი, პეტრე, ქრისტიანი პეტრე, მთელი ცხოვრებაა, მაგ ადამიანს ეძებს. ხვდები, რას ვამბობ?

თავის ქნევა.